

ონლაინ განათლების სწავლის მეთოდების შეფასება ადამიანური
რესურსების მენეჯმენტის კურსის მაგალითზე

ნინო მელელაშვილი; სოფიო ჭაფანძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
პროგრამის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

(უმალესი განათლების ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოღაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო მელელაშვილი

სოფიო ჭაფანძე

01.02.2021

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც კვლევის მისამართით გამოთქვეს დაინტერესება და დაგვითმეს დრო. რომელთა ჩართულობით და მხარდაჭერით შევძელით პრაქტიკის კვლევის განხორციელება.

უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდით ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქეთევან თოდაძეს. მადლობა გაწეული შრომისთვის, დროის დათმობის, რეკომენდაციებისა და თანადგომისთვის.

პრაქტიკის კვლევის ჩატარების ხელშეწყობის, დახმარებისა და შესრულებული სამუშაოსათვის დიდ მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ ლექტორს თამარ ჯინჭველაძეს შესრულებული სამუშაოსთვის. მადლობა, რომ დაგვთანხმდა თანამშრომლობაზე, აქტიურად იყო ჩართული კვლევის პროცესში და ღია იყო შედეგებისა და ცვლილებებისადმი.

მადლობა, ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტის, განათლების სკოლის, განათლების ადმინისტრირების სტუდენტებს. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული კვლევის ყველა ეტაპზე. ამიტომ მადლობა გაწეული შრომისთვის, გულახდილობისთვის და იმ დროისთვის, რომელიც დაგვითმეს.

აბსტრაქტი

ონლაინ განათლების სწავლის მეთოდების შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის საგანია. პანდემიასთან ერთად ონლაინ განათლებამ ახალი დატვირთვა შეიძინა. ელექტრონულმა სწავლებამ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების არაერთი კურსის სასწავლო მეთოდების შეცვლაზე იქონია გავლენა. წინამდებარე პრაქტიკის კვლევის მიზანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კურსის მაგალითზე შეაფასოს ონლაინ განათლების სწავლის მეთოდები, კურსის ტრადიციული სწავლებიდან ონლაინ სწავლებაზე გადასვლა, ლექტორის მიერ შერჩეული და დანერგილი სასწავლო მეთოდების რელევანტურობა ონლაინ განათლების ფორმატთან მიმართებით. კვლევა ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინირებით. ანკეტირების, სიღრმისეული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფების საშუალებით შესწავლილ იქნა ონლაინ განათლების პრაქტიკა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კურსთან მიმართებაში, სტუდენტებისა და ლექტორის დამოკიდებულება გამოყენებული მეთოდების მიმართ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კურსის სილაბუსი და საგამოცდო მეთოდი საჭიროებს განახლებას და ონლაინ განათლების ფორმატთან მორგებას. რის შედეგადაც, დაინერგა შესაბამისი ინტერვენციები - სილაბუსისა და საგამოცდო ფორმატის ადაპტირება ონლაინ სწავლებასთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ონლაინ განათლება, სწავლის მეთოდები, პრაქტიკის კვლევა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულება.

Abstract

Evaluating online education methods is one of the most important research topics. With the pandemic, E-learning has taken on a new load. Online education has had the effect of changing the teaching methods of a number of Ilia State University education courses. The aim of the present action research is to evaluate the teaching methods of online education, the transition from traditional teaching to online teaching, the relevance of the teaching methods selected and implemented by the lecturer in relation to the online education format. The study was conducted by combining qualitative and quantitative methods. Through surveys, in-depth interviews and focus groups, online education practices related to the human resource management course, students 'and lecturers' attitudes towards the methods used were explored. The study revealed that the human resource management course syllabus and examination method needs to be updated and adapted to the online education format. As a result, appropriate interventions were introduced - adaptation of the syllabus and exam format to online teaching.

Keywords: online education, learning methods, action research, higher education institution.